გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 9
2024 წლის 12 იანვარი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის ანგარიშის შეფასების შესახებ

„გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპლიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანნვრის #1 დადგენილების მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო წელიწადში ერთხელ საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულის საფუძველზე საჭიროა შეფასდეს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დადებიტად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის ანგარიში თანდართული დანართების შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი N1

გორის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის ანგარიში

გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო არის საკრებულოს სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო, რომელიც განიხილავს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საკრებულოს რეგლამენტით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.
გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო შედგება საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს წევრების, საკრებულოს აპარატის, მერიის თანამშრომლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან. დღეის მდგომარეობით, საბჭოში სულ 24 წევრია: 13 ქალი, 11 მამაკაცი.

გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემუშვებული აქვს 3 წლიანი (2022-2024) სამუშაო გეგმა, სადაც აქცენტი გაკეთებულია 6 მიმართულებაზე. ეს მიმართულებებია:

1. ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
2. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა;
3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება;
4. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება;
5. თანამშრომლობა და კოორდინაცია;
6. გენდერული თანასწორობის გეგმის მონიტორინგი და ანგარიშგება.

1. **ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში:**

გეგმის ამ ნაწილში:
ა) გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია;
ბ) საკარიერო განვითარების კურსებზე მონაწილე ქალთა პროცენტული რაოდენობა კაცებთან თანაფარდობით გაზრდილია.
გ) მოთხოვილია მოდულპაკეტის შემენა გენდერული თანასწორობის და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა და საბავშვო ბაღის აღმზრდელთა გადასამზადებლად (გასულ წელსაც მოვითხოვეთ, 2023 წლისთვის, მაგრამ სამწუხაროდ ვერ მოხერხდა მოდულპაკეტის შეძენა);
დ) მოხდა მუნიციპალიტეტში დასაქმებული პერსონალის სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოება (იხილეთ დანართი 1); ასევე, მოვახდილეთ "გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 იანვრის #2 დადგენილებით

დამტკიცებული წესით მოსარგებლე ბენეფიციარების სეგრეგირებული მონაცემების წარმოება (იხილეთ დანართი 2).

ე) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან საერთო კრებებზე დასწრება. ამ მიმართულებით, იანვრის თვეში ატენის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების: ქსოვრისი, ბნავისი, ოლოზი, გარდატენი, დიდი ატენი, პატარა ატენი, დეგეულა, ფუხაანთუბანი, ჭეჭელაანთუბანი, ჯებირი, წედისი, ღვარები და ველებში გამართულ საერთო კრებებს, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც კაცები, ასევე ქალები. სულ 440 მოსახლე. (189 ქალი, 251 კაცი). საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ძირითადად სახელდებოდა საპროექტო წინადადებები, რომლებიც ეხებოდა სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემების მოგვარებას, შიდასაუბნო გზების მოწესრიგებას, საუბნო გზებზე დამცავი ჯებირების მოწყობას და მსგავს პრობლემებს.

ვ) ჩატარდა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა. ღონისძიება ჩატარდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში და მიზნად ისახავდა ქალთა ჩართულობის გაზრდას თვითმმართველობის პროცესებში. საჯარო განხილვას ესწრებოდა 39 მოქალაქე გორის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულებიდან, აქედან 28 იყო ქალი, 3 შშმპ, დამსწრეთა შორის იყვნენ ის პირებიც, რომლებიც დაესწრნენ წინა წელს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარებულ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვას. შეხვედრას ესწრებოდნენ აგრეთვე მედიის წარმომადგენლები და სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებიც. 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დეტალებზე პრეზენტაცია გააკეთა გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა. ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და ქალებს მიეცათ საშუალება თვითონ ესაუბრათ საკუთარ პრობლემებზე;
ზ) ქალთა ჩართულობის გაზრდის მიზნით თვითმმართველობის პროცესებში და მათი გაატიურებისთვის დაბეჭდილია და მოსახლეობაში დასარიგებლად გამზადებული 2024 წლის კალენდრები, სადაც განსხვავებული მელნით აღნიშნულია საკრებულოს, გენდერული თანასწორობის საბჭოს, ბიუროს, კომისიის სხდომები, „საკრებულო ახალგაზრდებისთვის“ - ახალგაზრდებისთვის დათმობილი დღეები და ინფორმაცია, რომელიც გაუღვივებს მათ სხდომებზე დასწრების და თვითმმართველობის პროცესებში ჩართვის სურვილს.

2. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა:

გეგმის ამ ნაწილში:
ა) განხორციელდა აქტიურად ჩართვა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ 16 დღიან კამპანიაში:
ბ) 29 ნოემბერს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლაში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე: „ერთად, ძალადობის წინაათმდეგ“. ღონისძიება ჩაატარა გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ფინანსური მხარდაჭერით. ღია გაკვეთილს ესწრებოდნენ ქვახვრელის საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, დაინტერესებული პირები, სულ 43 პირი. პირველ ნაწილში გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა ისაუბრეს ოჯახში ძალადობაზე. პრობლემის გადაჭრის გზებზე. ამ მხრივ საბჭოს

საქმიანობაზე, ქალთა და გოგონათა ინფორმირებულობაზე, განათლებაზე, თვითმმართველობის პროცესებში ქალთა ჩართვის მნიშვნელობაზე. მეორე ნაწილი დაეთმო ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს, რომლებმაც გაგვიზიარეს საკუთარი გამოცდილება სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებზე, ჩაატარეს სახალისო ვიქტორინა ოჯახში ძალადობის თემაზე და ბოლოს, მოსწავლეები დააჯილდოვეს სიმბოლური საჩუქრებით. მეორე ღონისძიება, რომელიც გაიმართა გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მხარდაჭერით ამავე დღეს, გენდერული კვირეულის ფარგლებაში, იყო მინიფეხბურთი გოგონათა შორის უფლისციხეში. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 16-მა გოგონამ, მათ შორის 4 მონაწილე იყო ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიიდან. შეჯიბრი სახალისოდ წარიმართა და გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდა თასით. თითოეულ მონაწილეს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გადაეცა სეერტიფიკატი, ხოლო ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ ყველა მონაწილეს გადასცა საჩუქრები ევრიკავშირის სიმბოლიკით.
გ) 4 დეკემბერს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მხარდაჭერით ჩაატარა მრგვალი მაგიდა „ერთად, ძალადობის წინააღმდეგ". შეხვედრას ესწრებოდნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, ევროკევშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები, გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, ტრეფიკინგისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გორის თავშესაფრის ხელმძღვანელი, იგპ ასოციაცია „თანხმობა" წარმომადგენლები და ქალები სხვადასხვა სოფლებიდან (სულ 30 მონაწილე, 24 ქალი, 6 კაცი).
მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე გამომსვლელებმა ისაუბრეს ორგანიზაციის სერვისებზე, მათ წვლილზე ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებაზე. შემდეგ გაიმართა საინტერესო დისკუსია. დასასრულს, ყველა მონაწილეს გადაეცა სიმბოლური საჩუქრები ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებისგან.

3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გამოვაცხადეთ მხატვრული ნაწარმოების კონკურსი სტუდენტთა და უფროსკლასელთათვის „პროფესია გენდერის გარეშე", რომელშიც მონ აწილეობა მიიღო 36-მა მონაწილემ გორის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლებიდან. მათგან 24 მონაწილის ნაშრომი შეფასდა დადებითად და დაიბეჭდა ამავე დასახელების ბროშურის სახით.
გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთის #2 საჯარო სკოლაში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე „ადგილობრივი თვითმმართველობა და გენდერული თანასწორობა". მასში მონაწილეობას იღებდნენ კარალეთის სკოლის 14-დან 18 წ. ჩათვლით ასაკის 23 მოსწავლე (9 ბიჭი და 14 გოგონა) და სკოლის დირექტორი ქ-ნი ნანა ამბოკაძე. ღია გაკვეთილი მიზნად ისახავდა მოზარდების ინფორმირებას ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა პროფესიის სწორად არჩევა, განათლების მიღება, ახალგაზრდების ჩართვის მნიშვნელობა თვითმმართველობის პროცესში, გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშობაზე. შეხვედრის ბოლოს ვთხოვეთ ახალგაზრდებს, დაესახელებინათ ის პრობლემები, რასაც აწყდებიან სოფელ კარალეთში.

4. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება.

ასოციაცია თანხმობას მიერ ქალები, მშვიდობა, უსაფრთხოება - სამოქმედო გეგმის ლოკალიზაცია. (დონორი - დიდი ბრიტანეთის საელჩო და გაეროს ქალთა ორგანიზაცია)
ამ მიმართულებით, გაკეთდა გენდერტული თანასწორობის საბჭოს გასვლითი ტრენინგი დაბა გუდაურში; ჩატარდა ტრენინგი ადამიანის უსაფრთხოებაზე 12 ქალისთვის; ჩატარდა ქალთა კონფერენცია, სადაც აქტიურად იყო ჩართულიუ გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.
გორის მერის წარმომადგნელებისთვის ჩატარდა 4 ტრენინგი, აქედან ერთი - გასვლითი, მონაწილეობდა 32 სოფლის და ქალაქის უბნების წარმომადგენელი. ტრენინგების თემები - მოსახლეობასთან კომუნიკაცია, თვითმმართველობა და მოქალაქეთა ჩართულობა, „ქალები, მშვიდობა, უსაფრთხოება"- ს დღის წესრიგი და საქართველოს სამოქმედო გეგმა, ადამიანის უფლებები, ადვოკატირების კამპანიაზე რეაგირება და სამოქალაქო სექტორტან თანამშრომლობა. 3 ტრენინგი მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის, მათ შორის, მონაწილეობდა ბატონი მერიც. თემები - სამოქალაქო ჩართულობა და თანამშრომლობა
ასოციაცია ახორციელებს პროექტს 2008 წლის დაზარალებული მოსახლეობისთვის „Victim's Fund" მხარდაჭერით, რის ფარგლებში 25 ქალს ჩაუტარდა ბიზნეს ტრენინგები და სხვა სახის ტრენინგები, ჩატარდა ბიზნეს გრანტების კონკურსი და დაფინანსდა 11 ქალი, მათ შორის კოშკა, სკრა, ხურვალითიდან და ა.შ.

5. თანამშრომლობა და კოორდინაცია

მუნიციპალიტეტისა და ქალთა საკითხებზე, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კოორდინირებული თანამშრომლობა - აქტიურად ვთანამშრომლობთ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის ოფისთან, ასევე ვთანამშრომლობთ ასოციაცია „თანხმობასთან", ვესწრებით ერთმანეთის ღონისძიებებს, ვითვალისწინებთ ერთმანეთის აზრს.
მუნიციპალიტეტის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტების მიმართულება და რაოდენობა - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და კერძოდ, გორის ოფისი აქტიურად თანამშრომლობს გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, მათი ფინანსური მხარდაჭერით, მარტის კვირეულის ფარგლებში დაიბეჭდა და შედგა ბროშურის „პროფესია გენდერის გარეშე" პრეზენტაცია. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში მისიასთან ერთად ჩატარდა ღია გაკვეთილი სოფ. ქვახვრელის საჯარო სკოლაში, ასევე, მინიფეხბურთი გოგონათა შორის სოფ. უფლისციხეში, მრგვალი მაგიდა თემაზე „ერთად, ძალადობის წინააღმდეგ" ყველა ეს აქტივობა ჩატარდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.
ასოციაცია „თანხმობა" მიერ ინიციირებული იყო და ჩატარდა ტრენინგები და სოციალური დიალოგი მუნიციპალური ტრანსპორტის საკითხზე სოფლების ერგნეთი, ხურვალეთი, შავშვები.
ადვოკატირების კამპანია ჩატარდა ქალების მიერ -სოფ. ვერხვევი - სახლების ტბოიზოლაცია, სოფ. კირბალი - წყლის ავზის გაწმენდა (არ არის ჯერ შესრულებული), კარალეთის დასახლება - სტადიონი (გაკეთდა), სოფ. კოშკა - სადრენაჟო არხები, სოფ. ერგნეთი - სპროტ დარბაზი და ახალგაზრდული ცენტრი (მიმდინარეობს მოლაპარაკება სახალხო დამცველის ჩართვით).
სოფ. ნიქოზში მუშაობს ახალგაზრდული კლუბი და საკვირაო სკოლა.
გორში გახსნილია მერიის და ADA-s დახმარებით, ხანდაზმულებისთვის დღის ცენტრი, რომელიც მუშაობს კვირაში 5 დღე, და ხორციელდება შინმოვლის პროგრამა სოფლებში: ბერშუეთი, შავშვები, ვარიანი, ნიქოზი, კარალეთი და ა.შ., სულ 30 პაციენტი.

6. გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის მონაწილობითი პროცესის მხარდაჭერა და საჯარო ანგარიშგება

ანგარიში საკრებულოში წარსადგენის შემდგომ გაეგზავნება საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის საკოორდინაციო უწყებათშორის საბჭოს.
ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება, განთავსდება გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ. გვერდზე.


საკრებულოს წევრები
სულ თანამშრომელთა რაოდენობა
36
სულ კაცები
25
სოფლად მცხოვრები
21
30-დან 50 წ. ასაკის
18
ქალაქში მცხოვრები
15
50-დან ზემოთ ასაკის
15
სულ ქალები
11
რაიმე სტატუსის მატარებელი
3
0-დან 30 წ. ასაკის
3
დევნილი ქალები
2
დევნილი კაცები
1
ვაკანსია
0


საკრებულოს აპარატი
ვაკანსია
სულ თანამშრომელთა რაოდენობა
30-დან 50 წ. ასაკის
სულ ქალები
ქალაქში მცხოვრები
სოფლად მცხოვრები
სულ კაცები
50-დან ზემოთ ასაკის
რაიმე სტატუსის მატარებელი
0-დან 30 წ. ასაკის
დევნილი ქალები
დევნილი კაცები
23
16
16
15
8
7
6
2
1
1
0


კულტურა
50-დან ზემოთ ასაკის
სულ ბენეფიციართა რაოდენობა
415
0-დან 30 წ. ასაკის
373
სოფლად მცხოვრები
225
სულ ქალები
220
სულ კაცები
195
ქალაქში მცხოვრები
160
დევნილი ქალები
49
რაიმე სტატუსის მატარებელი
48
30-დან 50 წ. ასაკის
42
დევნილი კაცები
25


სამხედრო-სავალდებულო
0-დან 30 წ. ასაკის
167
სულ კაცები
167
სოფლად მცხოვრები
129
ქალაქში მცხოვრები
38
დევნილი კაცები
8
რაიმე სტატუსის მატარებელი
0
50-დან ზემოთ ასაკის
0
30-დან 50 წ. ასაკის
0
დევნილი ქალები
0
სულ ქალები
0


შსს ვადიანი სამხედრო-საკონტრაქტო
0-დან 30 წ. ასაკის
26
სულ კაცები
26
სოფლად მცხოვრები
14
ქალაქში მცხოვრები
12
დევნილი კაცები
2
რაიმე სტატუსის მატარებელი
0
50-დან ზემოთ ასაკის
0
30-დან 50 წ. ასაკის
0
დევნილი ქალები
0
სულ ქალები
0


არასამხედრო, ალტერნატიული-შრომითი
0-დან 30 წ. ასაკის
15
სულ კაცები
15
სოფლად მცხოვრები
8
ქალაქში მცხოვრები
7
რაიმე სტატუსის მატარებელი
0
50-დან ზემოთ ასაკის
0
30-დან 50 წ. ასაკის
0
დევნილი კაცები
0
დევნილი ქალები
0
სულ ქალები
0


თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიული)
სულ კაცები
0-დან 30 წ. ასაკის
სოფლად მცხოვრები
ქალაქში მცხოვრები
30-დან 50 წ. ასაკის
დევნილი კაცები
რაიმე სტატუსის მატარებელი
50-დან ზემოთ ასაკის
დევნილი ქალები
სულ ქალები
109
76
61
48
33
7
0
0
0
0


თანამშრომლები
სულ თანამშრომელთა რაოდენობა
287
50-დან ზემოთ ასაკის
148
სულ ქალები
148
სულ კაცები
139
30-დან 50 წ. ასაკის
138
0-დან 30 წ. ასაკის
15
რაიმე სტატუსის მატარებელი
0
ქალაქში მცხოვრები
0
სოფლად მცხოვრები
0
ვაკანსია
0
დევნილი კაცები
0
დევნილი ქალები
0

მუხლი 1. ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო დახმარება



მუხლი 2. ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფის მედიკამენტებით უზრუნველყოფა




მუხლი 3. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება
სულ ბენეფიციართა რაოდენობა
2374
სოფლად მცხოვრები
1892
სულ ქალები
1515
30-დან 50 წ. ასაკის
923
სულ კაცები
859
50-დან ზემოთ ასაკის
812
0-დან 30 წ. ასაკის
639
ქალაქში მცხოვრები
482
დევნილი ქალები
121
დევნილი კაცები
62

მუხლი 4. უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა



მუხლი 5. იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის, სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილალანემია ICD E70.0 – E70.1), გლ



მუხლი 6. დიალიზზე მყოფი ადამიანების სოციალური დახმარება



მუხლი 7. სქოლიოზით დაავადებული ბენეფიციარების სამკურნალო-სარეაბილიტაციო დახმარება.



მუხლი 8. სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება



მუხლი 9. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება



მუხლი 10. დედ-მამით ობოლი ბავშვებისა და იმ ბავშვების დახმარება, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები



მუხლი 11. ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება



მუხლი 12. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება



მუხლი 13. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება



მუხლი 14. ასი და მეტი წლის ასაკის უხუცეს დღეგრძელთა დახმარება



მუხლი 15. რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით



მუხლი 16. მარტოხელა მშობლის დახმარება



მუხლი 17. ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის (ბენეფიციარების) დახმარების გაწევა



მუხლი 18. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარება



მუხლი 19. მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6; H-91.9) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება



მუხლი 20. 2021 წლის 1 იანვრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების სოციალური ფულადი დახმარება

რაიმე სტატუსის მატარებელი	0
სულ ბენეფიციართა რაოდენობა	0
სულ ქალები	0
30-დან 50 წ. ასაკის	0
სოფლად მცხოვრები	0
ქალაქში მცხოვრები	0
0-დან 30 წ. ასაკის	0
დევნილი ქალები	0
50-დან ზემოთ ასაკის	0
სულ კაცები	0
დევნილი კაცები	0

მუხლი 21. გორის მუნიციპალიტეტში ტერიტორიაზე რეგისტრირებული უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა




მუხლი 22. 2021 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფი ზრუნვიდან გასული სრულწლოვანი (არაუმეტეს 21 წლისა) მოქალაქეების დახმარება
სულ ქალები
1
ქალაქში მცხოვრები
1
დევნილი ქალები
1
დევნილი კაცები
1
სულ ბენეფიციართა რაოდენობა
0
30-დან 50 წ. ასაკის
0
სოფლად მცხოვრები
0
0-დან 30 წ. ასაკის
0
50-დან ზემოთ ასაკის
0
სულ კაცები
0

მუხლი 23. ძალადობის შედეგად ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.



მუხლი 24. სოციალურად დაუცველი ოჯახების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების თანამონაწილეობის წილის დაფინანსება

სულ ბენეფიციართა რაოდენობა	0
სულ ქალები	0
30-დან 50 წ. ასაკის	0
სოფლად მცხოვრები	0
ქალაქში მცხოვრები	0
0-დან 30 წ. ასაკის	0
დევნილი ქალები	0
50-დან ზემოთ ასაკის	0
სულ კაცები	0
დევნილი კაცები	0


ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება.
დევნილი კაცები
272
სულ კაცები
190
სულ ბენეფიციართა რაოდენობა
149
სოფლად მცხოვრები
148
სულ ქალები
123
30-დან 50 წ. ასაკის
120
დევნილი ქალები
82
რაიმე სტატუსის მატარებელი
42
ქალაქში მცხოვრები
5
50-დან ზემოთ ასაკის
5
0-დან 30 წ. ასაკის
1